ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №251

ქ. ქობულეთი „16“ აგვისტო 2012 წელი

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-3[2] პუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2557 განკარგულების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის №150 განკარგულების საფუძველზე, ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141), ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნიკო ბერაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „MTS“ (ქობულეთი, კლდიაშვილის ქ.№2), დირექტორის გია ქათამაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.4 “მიმწოდებელი” – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 „სამუშაო“– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ქალაქ ქობულეთში თბილისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები (CPV 45233222 - მოკირწყლვისა და მოასფალტების სამუშაოები).

2.2. შესასრულებელი სამუშაოების ზუსტი დასახელება, ტექნიკური მახასიათებლების სრული აღწერილობა, მოცულობები, ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ს მიხედვით.

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, საქართველოში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების სრული დაცვით.

3.2 მხარეები განიხილავენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ სათანადო ცვლილებები.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს შესრულებაში მონაწილე საინჟინრო–ტექნიკური პერსონალისა და მუშა–მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით.

3.4 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.
3.5 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ხელშეკრულებაში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
3.6 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მასალების სერთიფიკატები და ლაბორატორიული დასკვნები, მათი ხარისხის შესაბამისობის დადგენის მიზნით.

4. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა და სამუშაოთა შესრულების წესი:

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:
4.1 შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;
4.2 უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;
4.3 მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე;
4.4 სამუშაოთა დასრულების შემდეგ მიმწოდებელი თავისი ძალებით და სახსრებით 5 კალენდარული დღის ვადაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, სამშენებლო ნარჩენებისაგან და ა.შ.
4.5 უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;
4.7 მიმწოდებელი ვალდებულია მუშა-მოსამსახურე პერსონალს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე;
4.8 სამუშაოები შეასრულოს ხელშეკრულებაზე მითვისებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მოცულობების შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის აქტის (ფორმა N2 და ფორმა N3) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება ხორციელდება შესრულებული სამუშაოების ადგილზე.
5.3 შესრულებული სამუშაოების მოცულობების, ხარისხის და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი - ტექნიკური ზედამხედველი.
5.4 შესყიდვის ობიექტის მიღებას ახორციელებს კონტროლის (ინსპექტირების) ჯგუფი მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
5.5 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.6 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.
5.7 როგორც შუალედური, ასევე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს მშენებლობის პროცესში გამოყენებული მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესაბამისობის დადგენის მიზნით, ლაბორატორიული დასკვნები.

6. გარანტია

6.1 ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში მიმწოდებელი იძლევა სამუშაოს ხარისხზე და

გამოყენებულ მასალებზე მინიმუმ 5 (ხუთი) წლიან გარანტიას.
6.2 საგარანტიო ვადის პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

7. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

7.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 96480 (ოთხმოცდათექვსმეტი ათას ოთხასოთხმოცი) ლარს.
7.2 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების (დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) ღირებულება.
7.3 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების (ფორმა N2, ფორმა 3), მიღება–ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.4 თუ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთ მოცულობების ანაზღაურებაზე.
7.5 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.
7.6 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.7 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

8. ფასები

8.1 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,5% პროცენტის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.3 მიმწოდებელს სამუშაოების უხარისხოდ და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 5 დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის ან/და შემდგომ განმეორების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 3%-ის ოდენობით.
9.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველი მისი წარმომადგენლების მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების კონტროლს.
10.2 მიმწოდებლის მიერ შესასრულებელ, ან უკვე შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

10.3 მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.
10.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
10.5 შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.
10.6 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.
10.7 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი სპეციალური კონტროლის (ინსპექტირების) ჯგუფი.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს კანონმდებლობით.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი ძალის გარემოების შედეგი.
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3 დაუძლებელი ძალის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი ძალის ზეგავლენისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების და სამუშაოს მოწოდების ვადები:

14.1. სამუშაოები მიმწოდებელმა უნდა შეასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
14.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 12 ოქტომბრამდე.

15. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
17.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"–ს ქობულეთის ფილიალი, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890;**
17.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

18. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

18.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქ.ქობულეთი, კლდიაშვილის ქ.№2;
18.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი **BAGAGE22**, ა/ა **GE81BG0000000266786600**, საიდენტიფიკაციო კოდი **246 951 259**;
18.4 „მიმწოდებელი"– შ.პ.ს. „MTS"

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნიკო ბერაძე

„მიმწოდებელი"– შ.პ.ს. „MTS"

დირექტორი გია ქათამაძე

შპს "MTS"

დანართი 1

ქ. ქობულეთში თბილისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 96480,0 ლარი

N	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ღირებულება, ლარი	
				ერთეულზე	სულ
1	2	3	6	7	8
1	ასფალტო-ბეტონის საფარიანი ტროტუარების დემონტაჟი პნევმატური ჩაქუჩის გამოყენებით	100 მ^3	0,250	4350,00	1087,50
2	დაზიანებული ბორდიურის დემონტაჟი	100 გრძმ	5,09	29,68	151,07
3	სამშენებლო ნაგავის გატანა 10 კმ-ზე	ტნ	90,000	6,30	567,00
4	გრუნტის მოჭრა ბულდოზერით 15 სმ	1000 მ^3	0,419	2900,00	1215,10
5	გრუნტის დატვირთვა ა/თვითმცლელზე	1000 მ^3	0,419	8200,00	3435,80
6	რკინა-ბეტონის ჭების თავსახურების დემონტაჟი (24 ცალი)	მ^3	7,680	26,00	199,68
7	რკინა-ბეტონის ჭების ზომების მოყვანა გზის საპროექტო ნიშნულამდე (24 ცალი)	100 მ^3	0,0192	5820,00	111,74
8	რკინა-ბეტონის ჭების თავსახურების მონტაჟი (24 ცალი)	მ^3	7,680	60,00	460,80
9	პკ 5+00-დან პკ 6+00-მდე ქვაბულის მომზადება საფუძვლისათვის, სიღრმით 40 სმ	1000 მ^2	0,146	850,00	124,10
10	საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ხრეშით, სისქით 2*20სმ, ფენა-ფენა დატკეპნით	1000 მ^2	0,146	5000,00	730,00
11	არსებული ბაზალტის ბორდიურის დამუშავება და მოწყობა	100 გრძმ	5,090	1050,00	5344,50
12	ღორღის საფუძვლის მოწყობა, სისქით 8 სმ	1000 მ^2	1,862	2600,00	4841,20
13	ბითუმის ემულსიის მოსხმა	1000 მ^2	1,862	1200,00	2234,40
14	მსხვილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, სისქით 4 სმ	1000 მ^2	1,862	18200,00	33888,40
15	ბითუმის ემულსიის მოსხმა	1000 მ^2	1,862	900,00	1675,80
16	წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, სისქით 3 სმ	1000 მ^2	1,862	13800,00	25695,60
	ჯამი	ლარი			81762,7
	დ ღ გ	ლარი	18%		14717,3
	სულ	ლარი			96480,0

შპს "MTS"-ს დირექტორი

გ. ქათამაძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 150

2012 წლის 31 ივლისი ქ. ბათუმი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10^1 მუხლის მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-3^2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2557 განკარგულების შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიეცეს თანხმობა ქ. ქობულეთში თბილისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოების (96 896 ლარი), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში ფილების დაგების (868 900 ლარი) და კარიელის დასახლებაში მდინარე დეხვაზე სახიდე გადასასვლელის მოწყობის (15 078 ლარი) სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე

შემოსავალი № 01-09/471
„8“ 08 2012 წ.